

## ამონახსნის ყოფაქცევა დროითი ცვლადის უსასრულოდ ზრდისას და სასრულ სხვაობიანი სქემის კრებადობა ერთი არაწრფივი ინტეგრო- დიფერენციალური განტოლებათა სისტემისთვის

ერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლებათა სისტემისათვის განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა დირიხლეს სასაზღვრო პირობებით. მოდელი დაფუძნებულია მაქსველის განტოლებათა სისტემაზე, რომლის საშუალებითაც აღიწერება გარემოში ელექტრომაგნიტური ველის გავრცელების პროცესი. შესწავლილია ამოცანის ცალსახად ამოხსნადობისა და ამონახსნის ასიმპტოტური ყოფაქცევის საკითხები. არსებითი ყურადღება ეთმობა სასრულ-სხვაობიანი სქემის კრებადობას. გამოკვლეულია ადრე შესწავლილზე უფრო ფართო კლასის არაწრფივობის შემთხვევები.